## რა იციან ფოთელებმა ფოთის ახალი საკრებულოს შესახებ?...

გვ. 2

## რატომ არ სჯერა მოსახლეობას პენსიის დაგროვებითი ფონდის?

გვ. 2


# ფოთელი საქართველო

ფასი 50 თეთრი №29 27 ნოემბერი - 4 დეკემბერი 2017 წელი\ გამოდის სამშაბათობით


## ფოთის საკრებულომ ბიუჯეტის პროექტი მერიას უკან დაუბრუნა

გვ. 3

## რამ გამოიწვია ფოთის მეორე სკოლის სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოების შეფერხება?

გვ. 3

## ფოთში სანელებლებს არავინ ამოწმებს...

გვ. 4

## შენ ჯერ ეგ არ გინახავს?




## აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

# დისკუსია სტუდენტებთან - არა ძალადობას!

ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“, ფოთის მედიაცენტრმა კოლეჯ „ფაზისის“ სტუდენტებთან გამართა შეხვედრა. სტუდენტებისთვის თემატური ფილმის - „ხმა ამოიღე“ ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. ფილმში მოყვანილმა ფაქტებმა დამსწრე საზოგადოების მხრიდან დაინტერესება და ჩართულობა გამოიწვია. მათი აღნიშვნით საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები უნდა დაიმსხვრეს და თითოეულმა მოქალაქემ ხმა უნდა აიმაღლოს ძალადობის წინააღმდეგ. „უამრავი ფაქტი ხდება ჩვენს ირგვლივ, მაგრამ სამწუხაროდ ყველა ჩუმადაა, ხმას არავინ იღებს. ზოგი შემთხვევა ფატალურათაც სრულდება, არადა, თავის დროზე, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ძალადობისთვის, ეს ფაქტი, არ მოხდებოდა. ვფიქრობ, საზოგადოების დონე ამ კუთხით ასამაღლებელია“- აღნიშნეს სტუდენტებმა.

ძალადობის წინააღმდეგ კვირეული 25 ნოემბრიდან დაიწყება და გაგრძელდება 10 დეკემბრამდე.

## ჯილეხის გავრცელების არეალი დღემდე გაურკვეველია

გვ. 4

## ფოთში ინკლუზიური განათლებისთვის ყველა პირობა არსებობს?!

გვ. 5

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ინგაგვასალია რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე 551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 24 11 22

თეკლა მატკავა (ფოთი) 568 74 41 12

ივეტა პაჭკორია (ხობი) 568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.5311 ლარი გახდა. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. ხვალიდან, ერთი დოლარის ოფიციალური

ფასი 2.5311 ლარი გახდება. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.5078 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0233 ლარი შეადგინა.
ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2.6825 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.6670 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0155 ლარი შეადგინა.

# რა იციან ფოთელებმა ფოთის ახალი საკრებულოს შესახებ?...

**თეკლა მატკავა**
**ფოთი**

მორიგი არჩევნები, სადაც მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ადგილობრივი მთავრობები აირჩია, ისტორიის კუთვნილება გახდა. სამწუხაროა, მაგრამ მწარე რეალობა გახლავთ ის, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს, ვინ არიან ქალაქის საკრებულოს წევრები, არც მათი საქმიანობის, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ სმენიათ და არც ის მოეხსენებათ, რომ ამ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ. მოსახლეობაში სრული ნიჰილიზმია გამეფებული, რასაც ქალაქში და, ზოგადად ქვეყანაში, არსებული მდგომარეობით ხსნიან. ასეთ შეფასების საფუძველს გვაძლევს ის გამოკითხვა, რომელიც არჩევნებიდან რამდენიმე ხანში ჩაატარა ჩვენმა გაზეთმა. გამოკითხვისას ისიც გამოიკვეთა, რომ მოსახლეობას არც აინტერესებს, ვინ აირჩიეს 4 წლით ქალაქის საკანონმდებლო ორგანოში. ასეთი დამოკიდებულების მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ და გავარკვიეთ, მათი პრობლემებია, რომელიც წლებია, არა და არ იცვლება სასიკეთოდ. ყველაზე მეტად გამოკითხული ახალგაზრდების ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ჩვენი გაკვირვება. ერთ- ერთმა გამოკითხულმა ახალგაზრდამ როგორც გვითხრა - „ ქალაქისთვის და მოსახლეობისთვის არავის არაფერი გაუკეთებია. 25 წლის ვარ და სამსახური არ მაქვს. უსაქმურად დავეხეტები და ვკარგავ იმ ძვირფას დროს, რომელსაც ვერასოდეს დავიბრუნებ. ფიქრობს ამაზე ვინმე? ჰოდა, მითხარით, რატომ უნდა მაინტერესებდეს მთავრობის დიდი და პატარა მოხელეები, როცა მათ საერთოდ არ აინტერესებთ არავინ, საკუთარი თავის გარდა“.

საკრებულო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც პროპორციული სიით და მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრებისაგან შედგება. საკრებულოს შემადგენლობას 4 წლით ირჩევენ ქალაქში რეგისტრირებული მოქალაქეები ფარული კენჭისყრით. საკრებულო უპირველესად პოლიტიკური ორგანოა, რომლის მუშაობის ძირითადი პრინციპია საკითხების კოლეგიური განხილვა და გადაწყვეტა. საკრებულოს ეს სტატუსი განსაზღვრავს მისი უფლებამოსილებების დადგენის ძირითად პრინციპებს - მოსახლობის ინტერესების დაცვა,

პოლიტიკის განსაზღვრა, სავალდებულო წესების დადგენა- გადანაწილების პრინციპი, კონტროლისა და ზედამხედველობის პრინციპი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკრებულოს წევრის ვალდებულებაა, შეხვდეს ამომრჩევლებს, მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობაში. ასევე, კომუნიკაციაში იყოს მოსახლეობასთან. წარუდგინოს ამომრჩევლებს გაწეული საქმიანობის ანგარიში. საკრებულოს წევრების ვალდებულებაა, კანონით დადგენილი ზემოხსენებული მოთხოვნები სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ, ანაზღაურების გარეშე, განახორციელონ. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო შეეცადა ამ პირების ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელი ხარჯები მაინც აენაზღაურებინა, მაგალითად, ტრანსპორტის, კომუნიკაციის ხარჯები. გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, საკრებულოს კომისიების და ფრაქციათა თავმჯდომარეებისა.

რეალურად ფოთის საკრებულოში 2014 წლის დადგენილებით მდგომარეობა ასე გამოიყურება - თავმჯდომარე - 600 ლარი, მოადგილეები - 550 ლარი, კომისია/ფრაქციის თავმჯდომარეები - 500ლარი, ხოლო წევრებისთვის - 700 ლარი, რომელიც ყოველთვიურადაა გამოყოფილი. ასეთივე მდგომარეობაა სხვა თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებშიც.

საკრებულოს სამუშაო პროცესის გაკონტროლება ნებისმიერი მოქალაქის უფლებაა. მას აქვს უფლება დაესწროს ნებისმიერი კომისიის სხდომებს, რათა სამუშაო პროცესი უფრო საინტერესო და ეფექტური გახდეს. თავად მოქალაქეების ინტერესებშია, აქტიურად ჩაერთონ და დაესწრონ ჩანიშნულ სხდომებს, რომ ინფორმირებულნი იყვნენ ქალაქის მნიშვნელოვანი პროექტების დაგეგმის, შემუშავების პროცესში. თუმცა, რეალურად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თვლის, რომ სხდომებზე მათი დასწრებით არაფერი შეიცვლება - „რა აზრი აქვს დასწრებას. ვინ მოგვისმენს, ან რა უნდა გავიგოთ იმედის მომცემი. ქალაქი გაჩერებულია, არავინ არაფერს აკეთებს. ამიტომ აზრი არ აქვს იქ დასწრებას”.

საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ მოქალაქეების ჩართულობას ქალაქის მმართვის პროცესში. მათი უფლებაა საჯარო ინფორმაციის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და თანამდებობის პირებისგან, სხდომები ტარდება ღიად და საჯაროდ. სხდომების ოქმი ყველასათვის ხელმისაწვდომია, მათ აქვთ უფლება წინასწარ გაეცნონ თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებებს, პროექტებს და მიიღონ მონაწილეობა მათ განხილვაში. ერთ-ერთი გამოკითხული ახალგაზრდა მამაკაცი დაინტერესებული გახლდათ საკრებულოს №6 მოწვევის წევრების გაცნობით: „მე ახალგაზრდა ვარ და ძალიან მაინტერსებს, გავეცნო ჩემი თაობის წევრებს საკრებულოში, ასევე მაინტერესებს, გავიგო, როგორი იქნება მათი მუშაობა და რა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ან თემებს შეიტანენ სხდომებზე, რას გააკეთებენ სასიკეთოს ჩვენი ქალაქისა და მოქალაქეებისათვის”.

წელიწადში ერთხელ საკრებულოს წევრი ვალდებულია, შეხვდეს მოქალაქეებს და ჩააბაროს მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

# რატომ არ სჯერა მოსახლეობას პენსიის დაგროვებითი ფონდის?

**ივეტა პაჭკორია**
**ფოთი**

ახალი კანონპროექტი, დაგროვებითი პენსიის შესახებ მოსახლეობამ არაერთგვაროვნად მიიღო. საპენსიო რეფორმის განხორციელება არათუ დროულია, არამედ დაგვიანებულია. თუმცა მოსახლეობა, აღნიშნულ რეფორმას სკეპტიკურად უყურებს. უნდობლობის საბაბი კი წლების განმავლობაში დაგროვილი მწარე გამოცდილებაა. როგორიცაა გაყინული პენსიები, დაკარგული ანაბრები და ობლიგაციები. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას 8 ლარიანი პენსიაც კარგად ახსოვს.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დღესაც ოჯახში პენსიონერის შემყურეა.

ახალი დაგროვებითი საპენსიო პროექტი გულისხმობს სავალდებულო დაგროვებით სისტემას, მეთოდი 2+2+2. ანუ 2%-ს იხდის დასაქმებული, 2-ს სახელმწიფო და 2-ს დამსაქმებელი. მოსახლეობის უმრავლესობის აზრით ახალი კანონპროექტი, რომელიც

ეკონომიკის სამინისტროს მიერაა შემუშავებული, ორიენტირებული იქნება ეკონომიკურ განვითარებაზე და არა მომავალ პენსიონერებზე. 40 წლამდე ასაკის დასაქმებულთათვის ეს კანონი სავალდებულო შესასრულებელი იქნება, ხოლო უფროსი ასაკის დასაქმებულთათვის - ნებაყოფლობითი. ხსენებულ კანონპროექტს მოსახლეობის გარდა სკეპტიკურად უყურებენ ეკონომიკის ექსპერტები და თვლიან, რომ იგი მრავალ რისკთანაა დაკავშირებული. საკითხავია ვინ იქნება ამ ფონდის მმართველი. სად ექნება ფულის დაბანდების შესაძლებლობა? როგორ იქნება დაცული რისკები. საუბარია ათობით მილიარდ ლარზე, გამოთვლების შესაბამისად 30 წელში ის გადაასწრებს მთელი საბანკო სექტორის აქტივებს.

ახალი კანონპროექტის წინააღმდეგია ასევე საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები და მათ, თავის მხრივ, ალტერნატიული კანონპროექტიც შესთავაზეს მომუშავე ჯგუფს, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული. პროფკავშირების მიერ შეთავაზებულ კანონპროექტი შედგება 3 სვეტისგან და მოიცავს:

1. საყოველთაო სახელმწიფო ბაზისური პენსია;
2. სავალდებულო (შემოსავალთან დაკავშირებული) სქემა;
3. ნებაყოფლობითი კერძო (განსაზღვრული შენატანების) სქემა.

საბაზისო პენსია კვლავაც უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და უნდა დაექვემდებაროს ინდექსაციას საშუალო ხელფასების დონის ზრდის პროპორციულად.

გეგმის მე-2 სვეტი უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს, რათა მიღწეულ იქნეს ფონდში მაქსიმალური ჩართულობა. მაღალი ჩართულობის შედეგი იქნება ის, რომ ფონდის მოცულობა 20 წლის შემდეგ მიაღწევს დაახლოებით 20 მილიარდ ლარს. პენსია უნდა გაიცეს სიცოცხლის ბოლომდე. (ეკონომიკის სამინისტროს გეგმის მიხედვით, პენსია გაიცემა დაგროვილი თანხის ამოწურვამდე). სიცოცხლის ბოლომდე პენსიონერის პენსიით უზრუნველყოფა მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ საშუალო ასაკზე ადრე გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვლილის ოჯახი მიიღებს დაგროვილი თანხის 10%-ს, ხოლო დანარჩენი თანხა მოხმარდება იმ პენსიონერთა უზრუნველყოფას, რომლებიც საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მეტ ხანს იცოცხლებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პენსიონერი საშუალო ასაკის მიღწევის შემდეგ, დარჩება საბაზისო პენსიის ამარა, და დიდი ალბათობით გახდება საარსებო შემწეობის მიმღები, რაც კვლავ დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.

სქემის მე-3 სვეტში ჩართვა უნდა იყოს ნებაყოფლობითი. შენატანის მოცულობას დასაქმებული თავად განსაზღვრავს. ამ სვეტში ჩართული პირი სრულად მიიღებს დაგროვილ თანხას ყოველგვარი დაქვითვისა და

დასასრული 5-გვ.

# ფოთის საკრებულომ ბიუჯეტის პროექტი მერიას უკან დაუბრუნა

**ივეტა პაჭკორია**
**ფოთი**

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მე-2 (რიგგარეშე) სხდომაზე 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა, რომელიც 15 მილიონი ლარით არის განსაზღვრული.

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ვასილ თოდუას მოხსენების შემდეგ ზოგიერთმა საკრებულოს წევრმა ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა მოითხოვა. „ნაციონალური მოძრაობიდან“ დეპუტატი დარეჯან ცხვიტარია დაინტერესდა რა თანხა იყო გათვალისწინებული სტადიონისა და სპორტის სასახლის მშენებლობისთვის და მოითხოვა ამ კუთხით შესაბამისი ფინანსების გათვალისწინება. ცხვიტარიასთვის ასევე გაუგებარი დარჩა რატომ იქნა ამოღებული ერთჯერადი დახმარებები ბიუჯეტიდან, მისი აღნიშნით კარგი იქნება ბიუჯეტში ისევ გაჩნდეს მუხლი ერთჯერადი დახმარებების გასაცემად.

ბიუჯეტი განსახილველად კვლავ მერიას დაუბრუნდა. მერია კორექტირებულ ვერსიას საკრებულოს 10 დეკემბრამდე გადაუგზავნის. საკრებულომ ბიუჯეტი 25 დეკემბრამდე უნდა დაამტკიცოს.

ბიუჯეტის განხილვამდე კი საკრებულოში პროცესები ხმაურით ვითარდებოდა.

### რას უწინასწარმეტყველებს ოპოზიცია საკრებულოს თავმჯდომარეს

№ 6 მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გახსნა. როდონაიას 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ სხდომას ახლადარჩეული საკრებულოს უხუცესი წევრი აკაკი დარჯანია გაუძღვა. სხდომას 25 –ივე დეპუტატი ესწრებოდა. პირველი სხდომა ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. ხმაური საკრებულოს თავმჯდომარის არჩევას მოყვა. მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად რამდენიმე საკრებულოს წევრი მოიაზრებოდა, როგორც სჩანს „ქართულმა ოცნებამ“ არჩევანი მაინც ყოფილ მერზე ირაკლი კაკულიაზე შეაჩერა, სწორედ ეს არჩევანი დაუწუნა ოპოზიციამ მმართველ გუნდს. თავად ოპოზიციას კანდიდატი არც კი დაუსახელებია. ამრიგად, კაკულია ერთპიროვნული კანდიდატი გახდა. ყოფილმა მერმა თანაგუნდელების სრული მხარდაჭერა მოიპოვა. ოპოზიციის წევრებმა ეს ფაქტი სხვადასხვა ფორმით გააპროტესტეს. ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელიც საკრებულოში ორი მანდატით შევიდა, პროტესტი კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმით გამოხატა, კაკულიას თავმჯდომარეობის წინააღმდეგი წავიდა „ევროპული საქართველოს“ საკრებულოს წევრი ვახტანგ დარცმელიძე, „პატრიოტთა ალიანსის“ საკრებულოს წევრი მაია ჩხარტიშვილი, „შენების მოძრაობიდან“ იაგორ თავართქილაძე, „ლეიბოლისტური პარტიიდან“ მამუკა ხორავა და „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა – დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველოდან“ ოთარ ხარჩილავა.

პირველი მოწოდება თავმჯდომარის კადიდატზე „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრმა მაია ჩხარტიშვილმა გააკეთა: „ვირჩევთ ადამიანს, ვისი მართველობის 3 წლიანმა პერიოდმა ფოთელი მოსახლეობის უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოაყალიბა და უფრო მნიშვნელოვანია რას ვირჩევთ? ვირჩევთ გაურკვეველი ინტერესებისა და შინაარსის მქონე გუნდის ინტერესებს თუ ჩვენი ქალაქის კეთილდღეობას. ჩვენ, ხალხმა ნდობა გამოგვიცხადა და მოგიწოდებთ არ გამოიყენოთ ბოროტად ეს მანდატი და არ დაემორჩილოთ გუნდის დირექტივებს და ზეწოლას. ცვლილებების დროა და ეს ახლა უნდა დავაფიქსიროთ. ახლა უნდა დავაფიქსიროთ ვის უფრო უყვარს ეს ქალაქი, ვის უფრო აწუხებს პრობლემები. ვირჩევთ რაღაც ვირტუალურ გუნდს, თუ, ჩვენ თავად შეგვიძლია ამ პრობლემის გადაწყვეტა?“

დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველოს წევრმა ოთარ ხარჩილავამ, ყოფილი მერის საკანონმდებლო ორგანოში გადასვლა შეურაცყოფად მიიღო: „როგორც რიგითი ფოთელი თავს ვგრძნოდ შეურაცხოფილად, როცა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ქალაქში აკავებენ სამი სამსახურის ხელმძღვანელს და ქალაქის მერი დღეს წარმოდგენილია საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციაზე. მე მაქვს კითხვა კანდიდატთან, ბატონო ირაკლი, რამდენად რეალურია, ის, რომ სამი სამსახურის უფროსი თქვენი მერობის პერიოდში დაავეს და ამის შემდეგ, თქვენ, თუ გაქვთ მორალური უფლება ქალაქის ფუნდამეტურად მნიშვნელოვანი პორთფელი ჩაიბაროთ? ნაციონალური მოძრაობის წევრმა დარეჯან ცხვიტარიამ დარღვევებით ჩატარებულ არჩევნებზეც ისაუბრა.

დავით ხომერიკმა კი ახალი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის აუცილებლობა იწინასწარმეტყველა: „არ მაქვს იმის ილუზია, რამე რომ შეიცვლება, რადგან 17 კანდიდატი კაკულიას თავმჯდომარეობაზე წერილით შემოვიდა, მაგრამ მგონია, რომ თუკი ირაკლის აირჩევენ საკრებულოს თავმჯდომარედ, ძალიან მალე ახალი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა მოგვიწევს“.

ვახტანგ დარცმელიძის აზრით

**დასასრული 6-გვ.**

# რამ გამოიწვია ფოთის მეორე სკოლის სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოების შეფერხება?

**თეკლა მატკავა**
**ხობი**

რამდენიმე თვის განმავლობაში შეჩერებული გახლდათ ფოთის მეორე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოები. როგორც გავარკვიეთ სამუშაოების შეჩერების მიზეზი გახლდათ მუშაობისას წარმოქმნილმა პრობლემებმა. აღნიშნული დარბაზი წლებია ამორტიზებულია. საჭირო გახდა შენობის რეკონსტრუქცია. თვითმმართველობაში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კომპანიებმა. სპორტული დარბაზი სრული რემონტისათვის, აუქციონის გამართვის გარეშე, შპს „მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველოს“ გადაეცა. ტენდერის პირობებით გათვალისწინებული იყო შიდა ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, სახურავზე პენოპლასტის შიგთავსით სენდვიჩ პანელების მონტაჟი ფერადი დაფენვით, წყალსაწრეტი სისტემით, ასევე არსებული იატაკის შეცვლა და სხვა სარემონტო სამუშაოები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება წარმოადგენდა 504.186.00 ლარს, ხოლო აღნიშნულ ამხანაგობას გათვალისწინებული აქვს 465 112 ლარი სრული სამუშაოების გასატარებლად. ხელშეკრულება გაფორმდა მერის მოვალეობის შემსრულებლის ლევან ჩოჩიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა „მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველოს“ შორის მიმდინარე წლის 23 აგვისტოს.

სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია- კაპიტალური რემონტი უნდა დასრულდეს მომავალი წლის თებერვალში. ზემოთ აღნიშნულმა ამხანაგობამ ჩაიბარა თუ არა სამშენებლო ობიექტი, დაიწყეს სამუშაოებიც. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა პრობლემა, რომლის არსებობის შესახებ სამუშაოების დაწყების პერიოდში არაფერი გახლდათ ცნობილი. წარმოქმნილმა პრობლემამ სამუშაოების შეფერხება გამოიწვია.

როგორც მშენებელი კომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ზურაბ ყურუამ გვითხრა: „საქმე იმაში გახლავთ, შენობის რეაბილიტაციისას წარმოიქმნა შეფერხება. დემონტაჟის დროს გაირკვა, რომ კედელი იყო ამორტიზებულ მდგომარეობაში, რაც საფრთხეს უქმნიდა იქ დასაქმებულ პერსონალს, ამიტომ შეჩერდა მუშაობის პროცესი დამკვეთთან შეთანხმებით. თავიდან შევთანხმდით, მთლიანად დანგრეულიყო კედელი და ახალი აშენებულიყო, მაგრამ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ზედმეტ თანხებთანაა დაკავშირებული. ვიდრე კონსტრუქტორმა არ დაასრულა კვლევა და არ დადო საბოლოო დასკვნა, სამუშაოები გაჩერდა“.

სამუშაოების შეჩერებამ მაშინვე წარმოშვა საზოგადოებაში ეჭვი იმის შესახებ, რომ ახალდაწყებული დარბაზი ფოთის საფეხბურთო სტადიონისა და სხვა შეჩერებული პროექტების ბედს გაიზიარებდა, მაგრამ როგორც კომპეტენტურმა პირებმა განგვიმარტეს, აუცილებელი და საჭირო იყო სამუშაოების შეჩერება - უნდა შემდგარიყო კონსორციუმი და გადაეწყვიტათ პრობლემის არსი. ყურუასვე თქმით: „კედლის ჩამონგრევის ალბათობასთან დაკავშირებით ჩამოვიყვანეთ კონსტრუქტორი, რომელსაც

**დასასრული 6-გვ.**

# ფოთში სანელებლებს არავინ ამოწმებს...

ივეტა პაქკორია
ფოთი

რამდენიმე დღის წინ, ჩვენი გაზეთის რედაქციას მკითხველი დაუკავშირდა და გვთხოვა გაგვერკვია, ამოწმებენ თუ არა ფოთში სანელებლებს და რამდენად უსაფრთხოა მისი გამოყენება.

საკვები დანამატების სანიტარული შემოწმების აუცილებლობა ზაფხულში ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული წარმოების სანელებლებში ტყვიის მაღალი ოდენობის აღმოჩენამ გამოიწვია.

ამ ხმაურიანი შემთხვევის შემდეგ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ბოლო წლებთან შედარებით წელს სანელებლების გაცილებით მეტი ნიმუში შეამოწმა. დადგენილია, რომ საკვებ დანამატებში ტყვიის მაღალი ოდენობა გარემოს ტყვიით დაბინძურებამ გამოიწვია. სააგენტოს ასეთმა დასკვნამ ფოთელები განსაკუთრებით შეაშფოთა, რადგან ჩვენი ქალაქი, მისი სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მაღალი რისკის შემცველია. სურსათის სააგენტოს რეგიონული ოფისის ხელმძღვანელმა მარინა გულუამ ჩვენი შეშფოთება არ გაიზიარა და როგორც გვითხრა, ჰაერის დაბინძურება ზემოქმედებას ვერ ახდენს ბაზარში შესულ მზა პროდუქტზე. ჰაერით დაბინძურება ხდება მაშინ, თუ პროდუქტი დაბინძურებულ ადგილზე მოიყვანეს.

ფოთის ბაზარი ხსენებული პროდუქტით, ძირითადად, ზუგდიდიდან შემოდის. ჩვენ აგრარული ბაზრის მოვაჭრეებთან გადავამოწმეთ, ამოწმებენ თუ არა და ვინ ამოწმებს სანელებლებს ლაბორატორიულად?

როგორც გავარკვიეთ, ფოთში სანელებლები ჯერ არავის შეუმოწმებია. პროდუქტის ამ სახეობის უვნებლობა მომარაგებელი შპს „გეოს" კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

ბაზარში აღნიშნული პროდუქტით მოვაჭრეებმა იციან, რომ ადგილზე საკვებდანამატს არ ამოწმებენ, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ ბაზარში უკვე შემოწმებული პროდუქტი შემოდის და საშიში არაფერია: „ვინც ჩვენ გვამარაგებს, ისინი გადიან სხვადასხვა შემოწმებებს. მათ ყველანაირი საბუთი წესრიგში აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში 1000 ლარით ჯარიმდებიან. დისტრიბუტორს საბუთის გარეშე ბაზარში არ უშვებენ. როგორც გავიგე, ერთ-ერთი მომმარაგებლის ყვითელ ყვავილში ალუმინის მაღალი შემცველობა აღმოჩენილა და ნახევარი ტონა პროდუქტი დაუწვეს. თვენახევარი არ მუშაობდა შპს. არც ჩვენ გვინდა უხარისხო სანელებლები, ადამიანის ჯანმრთელობას რომ ზიანს მიაყენებს. არც ჩვენ ვართ დაზღვეულნი, ჩვენი ახლობლები და ოჯახის წევრებიც ხომ მოიხმარენ მას? ჩვენც ამავე სანელებელს ვიყენებთ და საეჭვო რომ იყოს, შვილებს ვაჭმევთ?"- გვითხრა ერთ-ერთმა მოვაჭრემ.



ბაზრის დირექტორის თეა ბელქანიას განმარტებით, ბაზრები არ არიან ვალდებულნი, კვლევითი ლაბორატორიები ქონდეთ. სანელებლების ხარისხიანობას კი სურსათის უვნებლობის სააგენტო ადგენს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ფოთს არც სურსათის ხარისხის დამდგენი სპეციალისტი ყავს და ამ მოვალეობას ზუგდიდიდან მოვლინებული პირი ასრულებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს თანამდებობა წლებია, ვაკანტურია. სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი მარინა გულუა როგორც ამბობს: „სურსათის შემოწმების კუთხით ვერ გეტყვით, რომ სახარბიელო სიტუაციაა ფოთში. ფოთში არ არის სურსათის შემოწმების სპეციალისტი. დიდი ქალაქია ფოთი და აუცილებელია ამ სფეროს სპეციალისტი ყავდეს. რეგიონის სათავო ოფისი მდებარეობს ზუგდიდში და, შესაბამისად, ზუგდიდიდან გვიწევს სიარული. მაქსიმალურს ვაკეთებთ, მაგრამ ადგილობრივი სპეციალისტი რომ გვყავდეს, გაცილებით უკეთესი შედეგი იქნებოდა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ უყურადღებოდაა დარჩენილი ეს სფერო თქვენს ქალაქში".

რაც შეეხება სანელებლების შემოწმებას, გულუამ ვერ გაიხსენა, ჩატარდა თუ არა ფოთში მსგავსი შემოწმება საერთოდ, მაგრამ ამტკიცებს, რომ ამ მხრივ რეგიონში საგანგაშო მდგომარეობა არ არის: „სანელებლებზე შემოწმება ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სანელებელი ცუდია და ავნო ვინმეს. ასეთ დროს, უნდა მოგვმართონ და შემოწმდება ლაბორატორიულად. გეგმიურად ფოთში ჩატარდა თუ არა სანელებლის შემოწმება არ მახსოვს. ყველა ინსპექტორი გასულია და ზუსტად ვერ გეტყვით. ძირითადად, შევამოწმეთ ზუგდიდის ბაზარი, რადგან ყველაზე დიდი ბაზარი რეგიონში ზუგდიდშია".

მოგვიანებით გულუამ „გაიხსენა" რომ ფოთში სანელებლები არ შემოწმებულა: „ფოთში სხვადასხვა პროდუქტზე ნიმუშები აიღეს, მაგრამ სანელებლებზე, რატომღაც, არა. სამეგრელოს რეგიონს შპს „გეო" ამარაგებს და მას იმპორტირებული საქონელი აქვს. რაც შეეხება სოფლებიდან შემოსულ პროდუქტს, მას სურსათის უვნებლობის სამსახური ვერ აკონტროლებს. არც გარებაზრობებზე მიგვიწვდება ხელი. ისე, სოფლებიდან სანელებლები ძალიან მცირე რაოდენობით შემოდის".

გულუასავე განმარტებით, სამეგრელოს რეგიონში სანელებლებში აღმოჩენილი ტყვიის რაოდენობა არ არის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი.

# ჯილეხის გავრცელების არეალი დღემდე გაურკვეველია

თეკლა მატკავა
ფოთი

ფოთში დაფიქსირებული ჯილეხის გავრცელების საზღვრები ჯერაც გაურკვეველია. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეამოწმა ფოთის საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ხორცის მაღაზიაში სარეალიზაციოდ გამოტანილი საქონლის ხორცი, ასევე იქ არსებული ინვენტარი, შემოწმდა სახინკლე "არაგვიც", მაგრამ ჯილეხის ბაცილა არსად აღმოჩნდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს დირექტორის განმარტებით, ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებით, ყველა ლოკაციაზე, სადაც შეიძლებოდა ჯილეხის კვალი აღმოჩენილიყო, პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა. ამ ობიექტების აღნიშნულ ბაქტერიაზე შემოწმების მიზეზი 28 წლის ლანა გოგინავას ჯილეხით დაავადება და გარდაცვალება გახლდათ. როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრები ამტკიცებენ, მათ სწორედ აღნიშნული კვების ობიექტებიდან შეიძინეს ხორცპროდუქტები.

დაფიქსირებული შემთხვევა ფოთისთვის პრეცედენტი არ გახლავთ. როგორც დაავადებათა ცენტრში გვითხრეს, აგვისტოში იმავე ავადმყოფობით დაავადდა მამაკაცი, რომელიც სასაკლაოზე მუშაობდა, თუმცა დაავადება კანის ფორმირებით გამოვლინდა, დროულად ჩაერიენ ექიმები და ამჟამად ეს ადამიანი სრულიად ჯანმრთელი ისევ სასაკლაოზე მუშაობს. ხობის რაიონში, სოფელ ჭალადიდშიც დაფიქსირდა დაავადების შემთხვევა - მამაკაცმა შიშველი ხელებით გადაათრია გზიდან, მატარებლის მიერ მოკლული საქონელი, შედეგად იგი დაინფიცირდა ჯილეხით. ფაქტის გამოვლენის შემდეგ, საქონლის ლეშის შესამოწმებლად მივიდა სურსათის ეროვნული სააგენტოს ჯგუფი, სადაც მხოლოდ საქონლის ძვლები დახვდათ, რომელიც ლაბორატორიულად შეამოწმეს, მაგრამ სურსათის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოადგილის მტკიცებით, საქონელი ჯილეხით დაავადებული არ აღმოჩნდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციაში ეჭვი ნამდვილად არ გვეპარება, მაგრამ გასარკვევია, საიდან მოვიდა ამ ვერაგი დაავადების ბაქტერია.

დაავადება ჯილეხი სისხლში ამ დაავადების ბაქტერიის შეღწევით ვრცელდება, რომელიც ძალიან მალე შეიძლება გადაიზარდოს და გამწვავდეს სეფსისით. ჯილეხი ზოონოზურ დაავადებათა ჯგუფში შედის. ის ადამიანს დაავადებულ საქონელთან კონტაქტის დროს გადაედება. 1785 წელს ციმბირში ამ დაავადებით 100 000 ცხენი მოკვდა, ნოვგოროდში კი – 65 000 ძროხა. XX საუკუნის დასაწყისში, ე. წ. საბჭოთა კავშირში, ჯილეხით 600 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. დღეს ამ დაავადების გავრცელების საშიშროება მოხსნილია, თუმცა საქართველოში კერები მაინც არსებობს, რაზეც ბოლო დროს დაფიქსირებული შემთხვევები მეტყველებს. ერთ-ერთი ვეტერინარის განმარტებით, საქართველოში, მათ შორის ფოთშიც, საქონლის აცრა წელიწადში ერთხელ ხდება. რეგიონში, ან ქალაქში ჯილეხის დაფიქსირების შემთხვევაში, აცრა სავალდებულო ხდება.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქონლის საშიში ინფექციური დაავადება „ჯილეხის" საწინააღმდეგო საშემოდგომო პროფილაქტიკური ვაქცინაცია დაასრულა. სააგენტოს ინფორმაციით, მაღალი რისკის ზონებში აცრა 152 586 ამთვისებელ შინაურ ცხოველს ჩაუტარდა, მათგან 121 19-3 - მსხვილფეხა, 30 761 - წვრილფეხა პირუტყვი და 632 ცხენია. ვაქცინაცია 40 მუნიციპალიტეტში, 197 სოფელსა და დასახლებულ პუნქტში ჩატარდა.

ფოთში გავრცელდა მოსაზრება, თითქოს ჯილეხი ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება. ამიტომ მოსახლეობა შეშინებულია. როგორც ეპიდემიოლოგმა მაკა გაბუნიამ განგვიმარტა: „ეს არ არის ვირუსული დაავადება. დაავადებული ადამიანი, ჯილეხის ბაცილების ვეგეტატიურ ფორმას შეიცავს, ამიტომ იგი გადამდები არ არის მეორე ადამიანისთვის. გადამდებია მხოლოდ ჯილეხით გარდაცვლილი ადამიანი, როცა გვამში სპორა წარმოიშობა. ეს არ არის ჩვეულებრივი გრიპი, რომელსაც ვირუსული სახე აქვს და ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება საუბრისას ან ხელის ჩამორთმევისას. როდესაც გარდაცვლილ ადამიანს მარხავენ, აუცილებელია საჭირო ზომების დაცვა. კერძოდ, მიცვალებული ბეტონის აკლდამაში უნდა დაიმარხოს, რათა გვამის გახრწნის შემდეგ არ მოხდეს ინფექციის გავრცელება. კონკრეტულად ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, გარდაცვლილის ოჯახი გაგებით მოეკიდა ამ ფაქტს, მათ ესმით ამის აუცილებლობა".

როგორც დაავადებათა კონტროლის რეგიონულ ლაბორატორიაში განგვიმარტეს, ბაცილის ამ მახასითებლებიდან გამომდინარე, ჯილეხით დაავადებული ხორცის არა თუ ჭამაა სასტიკად აკრძალული, მასთან კონტაქტიც სახიფათოა. ვეგეტატიური ფორმები ნაკლებ გამძლენი არიან, ისინი მზის სხივებზეც იღუპებიან. სამწუხაროდ, ადამიანი და ცხოველი ავადდება სპორით და არა ვეგეტატიური ფორმით.

# ფოთში ინკლუზიური განათლებისთვის ყველა პირობა არსებობს?!

თეკლა მაჭკავა
ფოთი

საზოგადოება ხშირად ახდენს ადამიანების გარიყვა-გახლეჩვა-დანაწევრება-მარკირებას სხვადასხვა ნიშნით. საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია ადამიანთა დისკრიმინაცია მიუხედავად იმისა, როგორია ეს ადამიანი. ძალიან მტკივნეული საკითხია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა /მოზარდთა მიმართ დამოკიდებულება. ამ ბოლო დროს შეიცვალა მიდგომები პრობლემის მიმართ. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ისევ აგრესიულია ასეთ პირთა მიმართ, რაც ადამიანური და სახელმწიფო კანონით დაუშვებელია. სახელმწიფო ჩართულია პრობლემის მოგვარებაში - ძალიან ბევრი კვლევა ტარდება შშმ პირთა, განსაკუთრებით, შშმ მოზარდთა პრობლემების გამოსარკვევად. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის მიზანი გახლდათ შშმ ბავშვთა მიმართ ქართულ საზოგადოებაში არსებული სტიგმებისა და მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება.

საქართველოს საზოგადოებაში ჩამოყალიბდა სტიგმატიზაცია შშმ ბავშვების მიმართ. ჭარბადაა გავრცელებული აზრი, რომ შშმ ბავშვი აუცილებლად უნდა შევიცოდოთ მისი სპეციფიკური მდგომარეობის გამო, რაც პოზიტიური დისკრიმინაციის სახეს იღებს. სკოლა ხშირად არღვევს შშმ ბავშვთა უფლებებს, როდესაც ხდება მათი მხრიდან ნიშნების მომატება, შეღავათები გაკვეთილებზე დასწრებაში და სხვა. ეს მიდგომა შშმ მოზარდთა მშობლისათვის მისაღები და მოსაწონია და არ აღიქმება მიზანშეწონილ დისკრიმინაციად.

ოჯახი, რომელიც ზრდის შშმ ბავშვს, თვითონ უნდა იყოს მოტივირებული და გათვითცნობიერებული პრობლემის მიმართ, თუმცა, რეალურად, თავად ახდენს საკუთარი შვილის სტიგმატიზაციას, როდესაც მათი მოლოდინები განათლების მიღებაში და პროფესიული საქმიანობის ათვისებაში სკეპტიკურია. ასევე, მათი მხრიდან ხდება საზოგადოებისგან იზოლირება, რაც გამოიწვია გარემოს მხრიდან ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მათი შვილების მიმართ. შშმ ბავშვთა მშობლის გარკვეული ნაწილის მიდგომით და შეხედულებით, შშმ ბავშვი მხოლოდ მოვლის, ზრუნვის ობიექტია. მშობლები ფიქრობენ, რომ მათ არ შეუძლიათ არათუ სხვისი, არამედ საკუთარი თავის მოვლა, არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. ასეთი მიდგომებით ბავშვი დიდხანსაა დამოკიდებული მშობელზე და გარე სამყაროს მიმართ ასოციალურნი ხდებიან. შშმ ბავშვების დისკრიმინაციას ხელს უწყობს სამედიცინო პერსონალის მხრიდან დამოკიდებულება, რაც განპირობებულია არაკვალიფიციური, დაბალი კომპეტენციით შეზღუდული შესაძლებლობის სფეროში. რაც თავის მხრივ აყალიბებს პაციენტის მიმართ თავის არიდებას, მომსახურების გაწევის შიშსაც კი.

საზოგადოებაში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ნეგატიურია შშმ ბავშვების მიმართ, რაც გამოიხატება აგრესიულობით, უარყოფით და გაუცხოებით. ზემოთ აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს და განავითარებს გამიჯვნას და ამის ფონზე გვესმის „ ჩვენ და ისინი", „სრულფასოვნები და არასრულფასოვნები", „ნორმალურები და არანორმალურები", „გამორჩეული და ჩვეულებრივი".

დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოში არ არსებობს თანადგომის სრულფასოვანი ქსელი ოჯახებისათვის, სადაც შშმ პირები ცხოვრობენ. ინსტიტუციური მხარდაჭერა სუსტია. პრაქტიკულად, მშობელი მარტოა ამ პრობლემის წინაშე, ხდება სრული იზოლაცია მშობლის, განსაკუთრებით დედისა, რომელსაც ხშირად მარტო უწევს 24-საათიან რეჟიმში ყოფნა ბავშვთან. დღეის მდგომარეობით, ინსტიტუციური მხარდაჭერის ორი ფორმა არსებობს -ინკლუზიური სკოლა და დღის ცენტრი. თუმცა, აქაც ხარვეზები არსებობს,რადგან საქართველოს მასშტაბით, დღის ცენტრი ბევრი არ არის. მათ რიცხვს არ მიეკუთვნება ფოთის მუნიციპალიტეტი. საბედნიეროდ, ქალაქს ძალიან კარგი და სტანდარტების შესაბამისი დღის ცენტრი აქვს, სადაც ხდება ბენეფიციარების მოვლა. მართალია, ინკლუზიური განვითარების დანერგვის გამო, საქართველოს ბევრ სკოლაში შემოიღეს სპეციალური პედაგოგის შტატი და შესაბამისი მომსახურება, მაგრამ ბევრი სირთულე ახლავს ამ პროგრამის განხორციელებას. აუცილებელია მასწავლებლების გადამზადება, რომ მოხდეს საჭიროების მქონე

დასასრული 6-გვ.

# რატომ არ სჯერა მოსახლეობას პენსიის დაგროვებითი ფონდის?

დასაწყისი 2 - გვ.

გადასახადის გარეშე, დაგროვილი თანხის ამოწურვამდე.

საპენსიო ფონდის სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს დამსაქმებლებისა და პროფკავშირების წარმომადგენლებისაგან, პარიტეტის პრინციპით. საბჭოში სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ერთი წევრი მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით. რეფორმის ასეთი სქემით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება, როგორც სიღარიბის, ისე შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობის შემცირება. ეს არის პროფკავშირების საპენსიო რეფორმის სქემა.

მოსახლეობას კი მიაჩნიათ, რომ ახალი კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მთავრობა მას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ასეთი პესიმისტური განწყობა ხალხს დაუბრუნებელი ანაბრების შემდეგ გაუჩნდა. როგორც ერთ-ერთმა მოქალაქემ გვითხრა: „სანამ ახალგაზრდა საპენსიო ასაკს მიაღწევს, მანამდე ამ თანხას გააპროცენტებენ და ისარგებლებენ. ან რითია ახალგაზრდა დაზღვეული, რომ 40 წლის შემდეგ ამ თანხას დაუბრუნებენ და იმასაც ისე არ შეჭამენ, როგორც მთელი მოსახლეობის ანაბრები შეჭამეს? 20 ლარით პენსიის გაზრდა კიდევ ორი წლით გადაიტანეს და ასეთი მთავრობა გვპირდება, რომ დაგროვილ თანხას დააბრუნებს? გამოდიან და კიდევ ერთხელ ცდილობენ ჩვენს გაბრიყვებას. ვიმეორებ, დაგვიბრუნა ვინმემ ანაბარი ან ბავშვების დაზღვევა?"- ასეთი კატეგორიული წინააღმდეგნი არიან ახალი კანონის მიმართ ფოთელების გარკვეული ნაწილი.

ამ კანონს, ეს მთავრობა მის სასარგებლოდ გამოიყენებს როგორც ყოველთვის. ბანკს ისე გაუჭირდა რომ ხალხისგან ბოლო კაპიკებს თხოულობს თუ დარჩა ვინმე გასამდიდრებელი? ჯერ ერთი არავინ მუშაობს. მაგალითი აგერ ვართ ძველი თაობა. დაგვიბრუნა ვინმემ ანაბარი? რომ არაფერი ვთქვა ობლიგაციებზე, 90-ან წლებში ხელფასიდან ერთ წელზე მეტ ხანს გვეჭრებოდა ფული პენსიისთვის? სად არის ეს ფული? რამდენი ხელისუფლება შეიცვლება იმდენჯერ ცვლიან კონსტიტუციას და ზარალდება მხოლოდ გაჭირვებული ხალხი. რატომ არცერთმა ხელისუფალმა არ მოიკითხა ეს ფული, რაღაც თეთრებს რომ გვაძლევენ პენსიას? რითია დღევანდელი ახალგაზრდა დაზღვეული, რომ ჩვენ ბედს არ გაიზიარებს? იცით რამდენ ხალხს დაეკარგა ანაბრები, ობლიგაციები, პენსიები და რითი ვართ დაზღვეულები რომ მომავალი მთავრობა გააგრძელებს ამ პროგრამას"?

თუ რას ფიქრობს ფოთელები ახალ კანონპროექტზე, ამ კითხვით მივმართეთ სხვადასხვა ასაკის მოქალაქეს. ახალგაზრდებში ამ კანონპროექტს უფრო მეტი წინააღმდეგი ყავს ვიდრე მომხრე. გამოკითხულთაგან უმრავლესობა რისკფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, რადგან საზოგადოებაში ხელისუფლებების მიმართ უიმედობა და უნდობლობა უფრო მეტად სუფევს, ვიდრე შეპირებების შესრულება.

სოფო 30 წლის, „ისე მოკვდა ბებიაჩემი, სულ ობლიგაციების და ანაბრების ხსენებაში იყო ახლა მე უნდა ამომხდეს დაკარგული პენსიის ძებნაში სული? არ ვმუშაობ და ნებაყოფლობით ნამდვილად არ შევიტან თანხას. მირჩევნია ბანკში გავხსნა ანგარიში და იქ დავაგროვო".

ნიკა 20 წლის, „ამ კანონში ცუდს ვერაფერს ვხედავ, დროა ჩვენთანაც მოაღწიოს განვითარებამ და სიბერეში ადამიანს ნორმალური პირობები ექნეს,მაგრამ იმედია სწორი გათვლა ექნებათ და ეს თანხაც არ დაიკარგება უგზოუკვლოდ, როგორც სხვა არაერთი დაგროვილი დანაზოგი".

ზურაბი 45 წლის : „მართალია,ჩემთვის ნებაყოფლობითია ჩავერთვები თუარა ამ ახალ წამოწყებაში, მაგრამ ვალდებულებაც რომ მქონდეს მაინც არ ჩავერთვებოდი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კიდევ ერთი ხაფანგია ხელისუფლების მხრიდან მოქალაქეების გასაძარცვად. ის არ ეყოთ ბანკებმა რომ გაატყავა ხალხი, იმდენად აზარტში შევიდნენ, რომ ახლა თავად სახელმწიფოს მოუნდა ხალხის გატყავება ბოლომდე. ამ იდეას ძალიან ბევრი რისკფაქტორი ახლავს თან".

თამარა 66 წლის: „არ მგონია შვილო რამე თუ გამოვა ამ სიახლისგან, ისევ დაიკარგება ეს თანხა, როგორც სხვა დანაზოგები გააქრო წლების წინ ხელისფლებამ, 30 წლის შემდეგ ხელისუფლებაში ვინ იქნება და ვის უნდა მოვკითხოთ ამ ახალგაზრდებისგან გადარიცხული თანხები. არც ისაა კარგად გაწერილი ჩვენ უკვე პენსიონრებს რამდნეი გვექნება პენსია. არარეალურია ეს ყველაფერი. თუმცა ხალხს არავინ ეკითხება მაინც ისე გააკეთებენ როგორც მათ სურთ".

ახალი კანონპროექტის დამტკიცებამდე თითქმის ერთი წელია დარჩენილი და იმედია კანონიც დაიხვეწება და მოსახლეობას მეტი ნდობა გაუჩნდება, როგორც სახელმწიფოს ასევე კანონის მიმართ.

# ფოთის საკრებულომ ბიუჯეტის პროექტი მერიას უკან დაუბრუნა

დასაწყისი 3-გვ.

კი კაკულია არ არის თავმჯდომარეობის ღირსი: „არ შეიძლება მისი მერობა შეფასდეს დადებითად და ვფიქრობ, რომ ნამდვილად არ არის ღირსი, არც მორალურად არც ადამიანურად დაიკავოს ეს ადგილი“.

საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ასევე „შენების მოძრაობის“ წარმომადგენელმაც. მიუხედავად ოპოზიციის დიდი მცდელობისა ყოფილი მერი თანაგუნდელებმა ერთხმად აირჩიეს.

საკრებულოს ახალარჩეულმა თავმჯდომარემ ირაკლი კაკულიამ განაცხადა, რომ თავმჯდომარეობა დიდი პასუხისმგებლობაა და ის მის გუნდთან ერთად ყველაფერს გააკეთებს ქალაქის განვითარებისთვის.

ასევე 18 ხმით აირჩიეს თავმჯდომარის მოადგილედ აკაკი დარჯანია. ამ შემთხვევაში ერთადერთი პრეტენზია ხარჩილავამ განაცხადა: „გვეგონა ახალ სახეებს ვიხილავდით საკრებულოში და არა ერთი და იგივე სახეებს“. ეს რეპლიკა პასუხგაუცემელი არ დატოვა საკრებულოს თავმჯდომარის ახალარჩეულმა მოადგილემ, „თუ თქვენ არ შეაწუხებთ ქალაქს მეოთხედ, მეხუთედ კარგს იზამთ, იმიტომ, რომ შეწუხებულია ხალხი თქვენი სახის ხილვით და პარტიების ცვალებადობით.

„სააკაშვილი მოსულია, მაგრამ თქვენ ვერ გრძნობთ“...

როგორც ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონში ფოთის საკრებულოს სხდომამაც ხმაურიანად ჩაიარა, მაგრამ 5 მუდმივმოქმედი კომიის თავმჯდომარე და წევრები მაინც აირჩია. აღსანიშნავია, რომ სხდომაზე ხმაური რამდენჯერმე ატყდა. პირველად ხმაური ხუთივე თავმჯდომარის ერთდროულად არჩევამ გამოიწვია. ევროპული საქართველოს თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრმა ვახტანგ დარცმელიძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი დარჯანიას წინა სხდომაზე ჩამორთმეული პირობა გაახსენა კომისიების თავმჯდომარეების კანდიდატურების ოპოზიციასთან კონსულტაციების გავლის შესახებ. დარჯანიას ოპოზიციონერ კოლეგას შეახსენა, რომ პირობა არა თავმჯდომარეებს, არამედ წევრებს ეხებოდა.

ის- ის იყო პირველ საკითხზე ხმაური მინელდა, რომ ყოფილი მერის, ამჟამად საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი კაკულიასა და მისი ყოფილი თანაგუნდელის, ამჟამად პატრიოტთა ალიანსიდან საკრებულოში მოხვედრილი მაია ჩხარტიშვილის პოლემიკამ ხმაურის ახალი კერა წარმოშვა. ყოფილმა თანაგუნდელებმა ერთმანეთს ყოფილ სამსახურებში მუშაობა დაუწუნეს. ჩხარტიშვილმა კაკულიას მიერ გამოთქმული კრიტიკა არ მიიღო და პროტესტის ნიშნად სხდომის დარბაზი დატოვა.

მორიგი ხმაური უკვე ნაციონალ დარეჯან ცხვიტარიას განცხადებას მოყვა. მან როგორც ყოველთვის, დღევანდელი ხელისუფლება კორუმპირებულობაში დაადანაშაულა, რამაც სხვებთან ერთად სამსონ კუტალიაც გააღიზიანა დაც ცხვიტარიას მისი პარტიის მმართველობის დანაშაულებრივი მოქმედებები შეახსენა. „დიახაც, რომ კორუმპირებულ ადამიანებს იჭერდნენ“- უკან არ დაიხია ცხვიტარიამ. მისმა კატეგორიულმა ნათქვამმა უკვე აკაკი დარჯანიაც აღაშფოთა, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია წინა ხელისუფლების რეჯიმი. როგორც აღნიშნა: „დღემდე ვერ ამიხსნია ჩემი შვილებისა და ოჯახისათვის, რისთვის ვიჯექი 6 თვე ციხეში“.

ბოლოს ხმაური ლამის ხელჩართულ ბრძოლაში გადაზარდა, როცა დავით ხომერიკის აკაკი დარჯანიას შეეკამათა თავისი პარტიის დასაცავად. აღშფოთებულმა დარჯანიამ სხდომათა დარბაზი რამდენიმე წუთით დატოვა, ხოლო მობრუნებისას მან კოლეგებს გაცხარებისათვის ბოდიში მოუხადა.

დარეჯან ცხვიტარიამ საკუთარი პარტიის დაცვა - ქება-დიდებას ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და მისი საქმეების ქება მოაყოლა და აღნიშნა: „ყველაფერი გაკეთებული დაგხვდათ და არფერი გაგიკეთებიათ. რითი ამაყობთ, სანაპიროზე გაკეთებული ბილიკით? ასეთ ბილიკებს სააკაშვილი ტყეში აკეთებდა. ისე, სააკაშვილი მალე მოვა. თუმცა, უკვე მოსულია და თქვენ ვერ გრძნობთ“.

საბოლოოდ, საკრებულოს თავმჯდომარემ ყველას დაშოშმინებისკენ მოუწოდა და ხმაურიანი საკრებულო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების არჩევით დასრულდა.

# რამ გამოიწვია ფოთის მეორე სკოლის სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოების შეფერხება?

დასაწყისი 3-გვ.

უნდა მიეღო გადაწყვეტილება კედლის გამაგრებასთან დაკავშირებით. როდესაც გადაწყდა პრობლემა, იმავე პროექტით გაგრძელდა მუშაობა, თუმცა სამუშაოს დასრულების ვადებიც შესაბამისად გაგრძელდა“.

დავინტერესდით კრივისა და ხელბურთის სკოლების ბედითაც, რომლებიც ამ დარბაზში ვარჯიშობდნენ სპორტული დარბაზის რეკონსტრუქციის დაწყებამდე. კრივის სკოლის ხელმძღვანელმა რუბენ ქიქავამ როგორც გვითხრა, ვარჯიშებს ამავე სკოლის ფიზკულტურის დარბაზში აგრძელებენ: „ ჩვეულებრივ რეჟიმში გვაქვს შეხვედრები, თუმცა ტურნირების მოწყობას ვერ ვახერხებთ ჯერჯერობით“. რაც შეეხება ხელბურთის სკოლას, იგი ვარჯიშებს ამავე სკოლის გარე მოედანზე ატარდებს.

მშენებელი ფირმის ხელმძღვანელმა ისიც გვითხრა, რომ მუშაობის პროცესში შეფერხების არარსებობის შემთხვევაში სამუშაოები უკვე დასრულებული იქნებოდა: „სატენდერო პირობებით, სამუშაოები უნდა დასრულდეს 2018 წლის თებერვალში, მაგრამ ჩვენ სამუშაოებს გაცილებით ადრე დავასრულებთ. საპროექტომ გაითვალა გათვალისწინებული სამუშაოების თანხა, ასევე გაუთვალისწინებელი ხარჯიც, ამიტომ გაწერილი თანხა ტენდერის პირობებით საკმარისი იქნება სამუშაოების შესასრულებლად.”

მშენებელი ფირმის ოპტიმიზმს ვერ გავიზიარებთ, რადგან ჩვენი სამუშაოები ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამდენად, სამუშაო დასრულდება არათუ ადრე, არამედ განსაზღვრულ დროში მაინც, ჯერჯერობით გაურკვეველია.

# ფოთში ინკლუზიური განათლებისთვის ყველა პირობა არსებობს?!

დასაწყისი 5-გვ.

მოსწავლის ქცევის სრულყოფილი მართვა.

რა არის ინკლუზია? ბავშვთა ფსიქოლოგ მანონი ბასილაიას განმარტებით: „ინკლუზია ეს არის განათლება შეუზღუდავ გარემოში. ინკლუზია წარმოადგენს რწმენას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები განათლებას უნდა იღებდნენ თანატოლებთან ერთად, განურჩევლად იმისა, აკმაყოფილებენ თუ არა კურიკულუმის (სწავლების) ტრადიციულ სტანდარტებს.”

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მიუხედავად, საზოგადოებრივი აზრი შშმ ბავშვების განათლების შესახებ დღემდე არაერთგვაროვანია. ერთი ნაწილი თვლის, რომ შეზღუდული უნარის მიუხედავად, ყველა ბავშვი ერთ სასწავლო გარემოში უნდა იღებდეს განათლებას, საზოგადოების დანარჩენი ნაწილის აზრით, ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში მხოლოდ ის ბავშვები უნდა მოთავსდნენ, რომლებიც სავალდებულო სტანდარტებს აკმაყოფილებენ. ინკლუზიური განათლება, ზოგადად სარგებლიანი პროცესია, როდესაც შშმ ბავშვი სხვა მოსწავლეებზე დაკვირვებით იძენს სოციალურ და აპრობირებულ ქცევებს, რაც შემდეგ ეხმარება მას საზოგადოებასთან სრულყოფილ ინტეგრირებაში. ეს პროცესი ჩვეულებრივი განვითარების მოზარდებისათვისაც სასიკეთოა, რადგან მათში ყალიბდება ნორმალური შეხედულებები და აღქმის უნარი. შეზღუდული შესაძლებლობა განსხვავებულობის ერთ-ერთი სახეა და სხვადასხვა შესაძლებლობის მიუხედავად, მათ შეუძლიათ ერთად სწავლა და მეგობრობა. ინკლუზიური მიდგომა ითვალისწინებს, განავითაროს ასეთ მოსწავლეებზე განათლების ორიენტირებული მეთოდოლოგია, ცდილობს შეიმუშაოს უფრო დრეკადი პედაგოგიური მიდგომები, რამდენადაც ყველა ბავშვი წარმოადგენს ინდივიდს სხვადასხვა სასწავლო მოთხოვნებით. ამგვარი სწავლების აუცილებლობა განაპირობა ჩატარებულმა კვლევებმა, რომლის თანახმადაც, შშმ ბავშვის იზოლირება იწვევს რეგრეციას და მათი უნარების კიდევ უფრო დაქვეითებას. ევროპული ქვეყნებისთვის ეს გზა დიდიხნის გავლილია და უკვე გადალახულია ბარიერები. დიდი ხანი არ არის, რაც საქართველო ამ გზის გაკვალვას დაადგა და მოხდა ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა. ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასთან არსებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ ამოქმედდა პროექტი, რომელიც ქართულ სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვას ითვალისწინებს. საქართველოში შეიქმნა მულტიდისციპლინარული ჯგუფი, რომელიც უკეთებს შეფასებას ინკლუზიურ ბავშვს და ეს კეთდება ბავშვის მშობლისა და მასწავლებლის თანხმობით.

მანონი ბასილაია თვლის, რომ ინკლუზიური განათლების საჭიროება არ არის ზერელე მოთხოვნა: „ეს არ არის უბრალო სურვილი, რაღაც უჭირს და დავეხმაროთ, ეს გულისხმობს აუცილებლად პროფესიული გუნდის შეფასებას. ამ შეფასების საფუძველზე იწერება ინდივიდუალური გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის სპეციფიურობა და პრობლემა, რაც ინკლუზიურ ბავშვს ახასიათებს. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ჯანმრთელობის პრობლემებთან, განვითარების შეფერხებასთან. განვითარების შეფერხება არ ნიშნავს ჩამორჩენას, შეფერხებაა და გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებლად დაეწევა მეტრიკულ ასაკს. როდესაც მეტრიკული ასაკი და განვითარების დონე თანხვედრია, მაშინ უკვე ჩვეულებრივად მიმდინარეობს განვითარება. მაგალითად, როდესაც ბავშვი არის აუტისტური სპექტრის, ან აქვს ქცევითი აშლილობა, არის ჰიპერაქტიური და ფაქტიურად, საგაკვეთილო პროცესს ხელს უშლის, მისი იზოლაცია არ შეიძლება, აუცილებლად უნდა გააგრძელოს სკოლაში სიარული, მაგრამ გამწვავების შემთხვევაში, გაყავს სპეციპედაგოგს და ხელმძღვანელობს იმ ინდივიდუალური გეგმით, რომელიც გაწერა მულტიდისციპლინარულმა ჯგუფმა“.

ფოთში ინკლუზიურ განათლებას და შშმ ბავშვების სოციალიზაციას აქტიურად უწყობს ხელს სკოლების ადმინისტრაცია. ფოთის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელის გოჩა ქორქიას თქმით, მეტწილად ყველა სკოლა ადაპტირებულია ინკლუზიური სწავლებისთვის: „ყველა სკოლას, გარდა მე-11 -ე სკოლისა, აქვს რესურს ოთახი. №8 საჯარო სკოლაში რესურს ოთახი მოაწყო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ბილივმა“. გარემონტდა ოთახი, შეიძინეს სათამაშოები, ტელევიზორი, მაგიდა, სკამი. რა თქმა უნდა, სამინისტრო სკოლას ურიცხავს გარკვეულ თანხას, რათა თვითონ სკოლამ მოაწყოს სპეციალური ოთახი. ასევე არის სკოლებში სპეციპედაგოგი, რომელიც საგაკვეთილო პერიოდს აკვირდება, საჭიროების შემთხვევაში, გაყავს რესურს ოთახში ბავშვი და ეხმარება მას. მშობელთან, რომელიც არ აღიარებს ბავშვის მდგომარეობას, ხდება გასაუბრება. მტკივნეულად აღიქმება, რომ შვილი განსაკუთრებულ, სპეციალიზირებულ სწავლებას მოითხოვს. არადა, პირიქითაა, ვფიქრობ, უფრო მტკივნეულია, როდესაც ბავშვი ჩამორჩენილია და აკადემიური მოსწრება ცუდი აქვს. რაც შეეხება პანდუსებს, ფოთში 12 საჯარო სკოლაა და აქედან რამდენიმეშია მხოლოდ პანდუსი.“

თვითმმართველობის მხრიდან ქალაქში შშმ პირებისათვის, სამწუხაროდ, ჯეროვანი ნაბიჯები არ გადადგმულა, თუ არ ჩავთვლით დღის ცენტრს, რომელიც ნამდვილად აღსანიშნავი ფაქტია. არ არის ინფრასტრუქტურულად კეთილმოწყობილი ის საჯარო სივრცე, სადაც აუცილებელია შშმ პირის/მოზარდის ინტეგრაცია, ჩართულობა, რომ იგრძნოს თავი ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ. ზოგადი შეფასებისთვის მივმართეთ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროს მაია მაკალათიას. მისი თქმით ფოთში შშმ ბავშვებისათვის ამოქმედებულია სოციალური პაკეტი, წელიწადში ორჯერ - 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და დეკემბერში, ხდება ფულადი თანხით (100-100) ლარით დახმარება. რაც შეეხება ინკლუზიურ განათლებას, ქალაქში, გარკვეულწილად, ადაპტირებულია სკოლები, რომელიც ითვალისწინებს რესურს ოთახის არსებობას და სპეც მასწავლებელს“. მან ასევე აღნიშნა, რომ სამომავლოდ ქალაქში შშმ პირთათვის ძალიან ეფექტური პროექტების განხორციელებას გეგმავს, რათა სრულფასოვნად და ღირსეულად იცხოვრონ და ხელი შეეწყოს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. =

# საკვალიფიკაციო ტურნირები ჭადრაკში

18-19 ნოემბერს ფოთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა საკვალიფიკაციო ტურნირები მე-3, მე-4 და მე-5 კატეგორიებზე, რომელშიც მონაწილეობდა ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, მარტვილის და ჩხოროწყუს 60 მოჭადრაკე. ტურნირები გაიმართა შვეიცარიული სისტემით 7 ტურად და I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით, ხოლო I ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს დამატებით გადაეცათ თასები. ტექნიკური შედეგები:

მე-3 კატეგორიაზე:
I ადგილი - ალექსანდრე გარუჩავა (ფოთი),
II ადგილი - გიორგი ჭანტურია (სენაკი),
III ადგილი - გიორგი კვარაცხელია (ფოთი).

მე-4 კატეგორიაზე:
I ადგილი - ნიკოლოზ კვარაცხელია (სენაკი),
II ადგილი - ბარბარე კულუა (ფოთი),
III ადგილი - მეგი ცობეხია (ზუგდიდი).

მე-5 კატეგორიაზე:
I ადგილი - დიმიტრი ანთელავა (ზუგდიდი),
II ადგილი - საბა ჩიკვაიძე (ფოთი),
III ადგილი - იოსებ შამათავა (სენაკი).

მე-3 კატეგორიის ბალი შეასრულეს:
ალექსანდრე გარუჩავა (ფოთი),
გიორგი ჭანტურია (სენაკი),
გიორგი კვარაცხელია (ფოთი),
დავით ხარშილაძე (ფოთი),
ლუკა წურწუმია (ფოთი).

მე-4 კატეგორიის ბალი შეასრულეს:
ნიკოლოზ კვარაცხელია (სენაკი),
ბარბარე კულუა (ფოთი),
მეგი ცობეხია (ზუგდიდი),
მიშიკო წულაია (ფოთი),
გაგა გვასალია (ფოთი),
ფრიდონ ჩიქობავა (ჩხოროწყუ),
კონსტანტინე კვინჩია (ფოთი),
დემეტრე კაკულია (ფოთი).

მე-5 კატეგორიის ბალი შეასრულეს:
დიმიტრი ანთელავა (ზუგდიდი),
საბა ჩიკვაიძე (ფოთი),
იოსებ შამათავა (სენაკი),
ლუკა ჩიკვაიძე (ფოთი),
მარიამ ლაგვილავა ხობი,
მათე მაისაია (ფოთი),
ლუკა პერტაია (ჩხოროწყუ),
ნიკოლოზ გულუა (ზუგდიდი),
გაბრიელ კორძახია (ფოთი),
გიორგი გულუა (ზუგდიდი),
ვალერი ჩიქოვანი (ჩხოროწყუ),
ნია ჭითანავა (ფოთი),
სანდრო უჩანეიშვილი (ფოთი),
ალექსანდრე კუკულავა (ფოთი),
ლინდა ჩიტეიშვილი (ფოთი),
ნია ბაგათელია (ფოთი).

## სპორტი

# პირველობა ჭადრაკში

ქუთაისში დასრულდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, დავით ჩირაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გუნდური პირველობა. ფოთელმა მოჭადრაკეებმა ამჯერადაც ბრწყინვალედ იასპარეზეს. 8 წლის მოჭადრაკეთა ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა გუნდმა “ნანა”-მ შემდეგი შემადგენლობით: ალექსანდრე გარუჩავა, გიორგი კვარაცხელია, ლუკა წურწუმია და ლიზი სარიშვილი. 10 წლამდელთა ტურნირში კი მეორე ადგილი დაიკავა ასევე გუნდმა “ნანა”-მ: კახაბერ კიზირია, ალექსანდრე გარუჩავა, გიორგი კვარაცხელია და ანა სანიკიძე. გამარჯვებული გუნდები დააჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, დიპლომებითა და ფულადი პრიზებით.

# შესარჩევი ტურნირი ჭიდაობა ,,ძიუდოში,,

რამდენიმე დღის წინ, თბილისში ჩატარდა საქართველოს ძიუდოს აკადემიის შესარჩევი ტურნირი ,, ჭიდაობა ძიუდოში” ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის, სადაც ფოთელმა სპორტსმენებმა დავით დგებიამ და გიორგი ნიკორაძემ საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

შედეგები ასე გამოიყურება:
I - ადგილი დავით დგებია - 45კგ.
I - ადგილი გიორგი ნიკორაძე - 55 კგ.
სპორტის სამსახური ულოცავს მიღწეულ წარმატებებს სპორტსმენებს, ჭიდაობის საპორტო სკოლის მენეჯერს გრიგოლ გუგუშვილს, მწვრთნელებს; კონსტანტინე ხუბუტიას და ზურაბ ძაძამიას.

# ფოთელი მოჭადრაკეების წარმატება

ჩვენი რეგიონის მოჭადრაკეთა ბრწყინვალე შედეგით დასრულდა ნონა გაფრინდაშვილის თასის გათამაშება. საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა 7 ქვეყნის 125 მოჭადრაკე და მისი საპრიზო ფონდი შეადგენდა 45 000 ლარს. ა ღია ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდა 25 საერთაშორისო დიდოსტატი და ოსტატი, 20 წლამდე გოგონათა შორის პირველი ადგილი მოიპოვა 12 წლის დიანა ლომაიამ, ასევე მან გაიუმჯობესა ფიდეს რეიტინგი 56 პუნქტით. ბ ღია ტურნირში, 16 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველ ადგილს დაეუფლა 12 წლის აკაკი ყალიჩავა, მანვე ფიდეს რეიტინგი 21 პუნქტით გაიუმჯობესა. 14 წლის ჭაბუკთა შორის პირველობა მოიპოვა გიორგი სართანიამ, მან ფიდეს რეიტინგი 65 პუნქტით მოიმატა. 12 წლის გოგონათა შორის ასევე პირველი იყო ელენე წოწონავა. ხოლო 14 წლამდე ჭაბუკთა შორის მე-2 ადგილი დაიკავა 11 წლის თეიმურაზ კვიკვინიამ.
ულოცავთ მათ მორიგ დიდ წარმატებას!

# ქალის ხასიათი დაბადების თვის მიხედვით

ადამიანთა უმეტეს მათგანს სჯერა ასტროლოგიის ჭეშმარიტების, თუმცა განსაზღვრული ნაწილი სისულელედ მიიჩნევს. ფსიქოლოგებიც კი ამტკიცებენ, რომ ადამიანის ხასიათზე გავლენას მისი დაბადების თვეც ახდენს, განსაკუთრებით კი ეს ფაქტი მკვეთრად ისახება ქალის ხასიათზე, ვინაიდან ქვეცნობიერად დიდ გავლენას ახდენს გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ხასიათის ფორმირებაზე. მოდით შევამოწმოთ მართალია თუ არა.

წარმოგიდგენთ ქალის დახასიათებას მათი დაბადების თვეების მიხედვით.

1. იანვარი. იანვარში დაბადებული ქალები წარმოუდგენელი ამბიციითა და აგრესიით გამოირჩევიან წესრიგის მიმართ. სერიოზულები და კონსერვატიულები არიან. გადაჭარბებულად კრიტიკოსები, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთვის კარგი უნდათ. ახლოს მხოლოდ ისეთ ადამიანებს უშვებენ, ვინც მათ ინტელექტუალურ დონეს შეეფერება საფეხურით.

2. თებერვალი. თებერვალში დაბადებული ქალები საოცრად რომანტიულები არიან, ამიტომ მათ დიდი მოთმინებით უნდა მოეკიდოთ, განსაკუთრებით კი მამაკაცებს არ ესმით მათი ღრმა და იდუმალი სულის. საოცრად ცვალებადები არიან, ამიტომ მათ არ ჭირდებათ ნებისმიერი, მხოლოდ ის- განსაკუთრებული. აქვთ ასევე ფანტაზიის საოცარი უნარი, თუმცა აქვე გაითვალისწინეთ, რომ მას თუ კი ერთხელ მაინც მოატყუებთ, სამუდამოდ დაკარგავთ.

3. მარტი. მარტში დაბადებული ქალები ძლიერი ქარიზმითა და ხიბლით გამოირჩევიან. ძალიან ერთგულები და საიმედოები არიან. ასეთი ერთგული და თბილი ბუნების გამო ერთმა არასწორმა სიტყვამაც შეიძლება გული ადვილად ატკინოთ. უყვარდებათ ერთხელ და სამუდამოდ- მონოგამიურად. მოგიწოდებთ არ დაკარგოთ მარტში დაბადებული ქალები, იდეალურები არიან.

4. აპრილი. აპრილში დაბადებული ქალები დიპლომატები და კომუნიკაბელურები არიან, ადვილად პოულობენ საერთო ენას. მათი ერთადერთი ნაკლია ის, რომ პერიოდულად უყვართ თავის შეცოდება. აპრილის ქალმა ყველაზე უკეთ იცის რა არის განცხრომა და ბედნიერება, ამიტომ ის მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ კაცად გაქცევთ. თუმცა სული და გული ღია აქვთ მათთან, ვინც მათ ნდობას მოიპოვებს და მისი კეთილდღეობისთვის ყველაფერზე წავა.

5. მაისი. მაისში დაბადებული ქალები უდრეკები, ძლიერები არიან. გარეგნულად მიმზიდველები არიან, თუმცა ძალიან რთულები. ასეთი ქალები საშიშები არიან მამაკაცებისთვის, რადგან თუ მათ გრძნობებზე ვერ უპასუხებენ, ეს სიყვარული შეიძლება ფატალურად დამთავრდეს. თუ კი მაისში დაბადებულ ქალთან როდისმე გექნებათ რომანი, მთელი ცხოვრება გემახსოვრებათ.

6. ივნისი. ივნისში დაბადებული ქალები ძალიან ცნობისმოყვარეები არიან. მათ თვისებებში მთავარი კარგი შემოქმედებითი ნიჭი და კომუნიკაბელურობაა, თუმცა ცუდი კი დაუფიქრებელი ლაპარაკი, არ უყვართ სიტყვების შერჩევა საუბრისას და პირში გახლიან სიმართლეს გეწყინებათ თუ არა. კაცისთვის სახიფათო ქალია, რადგან თუ მის ხელში აღმოჩნდებით, მოექცევით კიდეც გავლენის ქვეშ. ამიტომ გაითვალისწინეთ, რომ არ მოექცეთ უპირობო სიყვარულის ხაფანგში.

7. ივლისი. ივლისში დაბადებული ქალები იდუმალი, ლამაზი, ჭკვიანი, პატიოსანი და გულწრფელები არიან. ცხოვრების ბოლომდე ცდილობენ აირიდონ თავიდან კონფლიქტი და დარჩნენ თავაზიანები. ერთი სიტყვით ძალიან კარგები არიან, თუმცა საკმარისია ერთხელ მაინც აწყენინოთ, რომ სამუდამოდ დაკარგავთ.

8. აგვისტო. აგვისტოში დაბადებული ქალები დიდი ეგოიზმისა და დიდი გულის უნიკალური კომბინაციაა. მამაკაცებს ურჩევნიათ არ დაიჭირონ მათთან საქმე, რადგან ქალი ყოველთვის გამარჯვებული დარჩება ურთიერთობაში. აგვისტოში დაბადებული ქალები ჯანსაღი იუმორით გამოირჩევიან, თუმცა ვერ იტანენ მათზე რომ იცინიან. ყოველთვის სურთ ყურადღების ცენტრში ყოფნა და მამაკაცებისგან თავყვანისცემაც არასოდეს არ აკლიათ.

9. სექტემბერი. სექტემბერში დაბადებული ქალები კეთილები, დისციპლინირებულები, კრიტიკოსები და ბუნებრივად ლამაზები არიან. მათთვის მამაკაცის ერთგულება უმთავრესი, ამიტომ თუ ერთხელ მაინც უღალატებენ, არასოდეს დაავიწყდებათ. თუ გსურთ სექტემბერში დაბადებული ქალი ერთი ღამისთვის, სჯობს გაიაროთ, ეგ გარდაუვალია.

10. ოქტომბერი. ოქტომბერში დაბადებულ ქალებს ძლირი და მტკიცე ხასიათი აქვთ. ძალიან ემოციურები არიან და ხშირად ტირიან, თუმცა ვერასოდეს დაინახავთ მის ცრემლებს. არიან ჭკვიანები, იმდენად ჭკვიანები, რომ სულიერებასა და შინაგან ბუნებას არ ამჟღავნებენ, რათა სხვამ ბოროტად არ გამოიყენოს. ყოველთვის საუკეთესო მამაკაცი ხვდებათ ხოლმე და ცხოვრობენ მათთან ღირსეულად.

11. ნოემბერი. ნოემბერში დაბადებული ქალები ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ არიან სხვებზე. აქტიურები და თანმიმდევრულები არიან, ხვდებიან როდესაც ატყუებენ. ამბიციურები და ცეცხლოვანები არიან, მათთან არასოდეს მოიწყენთ. არ კითხოთ მათ რჩევა იმ შემთხვევაში, თუ სიმართლის პირში მოსმენა არ გინდათ.

12. დეკემბერი. დეკემბერში დაბადებული ქალები მოუთმენელები არიან და გამომგონებლური ნიჭით ხასიათდებიან. მათ ყველაზე კარგად იციან როგორ აამაღლონ მამაკაცის ბუნება-განწყობილება. ცხოვრება ვერ აშინებთ და ადრე თუ გვიან მაინც იღებენ იმას, რაც უნდათ.


**გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

*იკითხეთ გაზეთი* მთავარი თემა სამეგრელოში

**გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს**

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

**გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე**

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

**ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,**

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.